ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

2015-2017 წლებში საზღვარგარეთ სამკურნალოდ დაფინანსებული პაციენტები

ანალიზი მომზადებულია პროექტის - „საზოგადოების გაძლიერება კარგი მართველობის ხელშეწყობისთვის“ - ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდისა და ნიდერლანდების სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ. კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლებელია არ გამოხატავდეს ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდისა და ნიდერლანდების სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიციას.

Visegrad Fund

Kingdom of the Netherlands

2018

ძირითადი მიგნებები

- 2015-2017 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან საზღვარგარეთ სამკურნალოდ ჯამში 1,191 პაციენტი დაფინანსდა, რაზეც საერთო ჯამში 14.4 მილიონი დაიხარჯა.
- ყველაზე მეტი პაციენტი 2016 წელს დაფინანსდა - 478; გამოყოფილი თანხაც ყველაზე მაღალი 2016 წელს იყო - 6,245,362.79 ლარი;
- პაციენტების უმეტესობას (35%) საზღვარგარეთ მკურნალობა ონკოლოგიის დაავადების გამო უფინანსდებოდათ;
- გამოყოფილი თანხის უმეტესობაც (მთლიანი თანხის 33.7%), ამ დაავადების მკურნალობაზე მოდიოდა.

ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების მეთოდები

IDFI-მ 2017 წლის 2 ნოემბერს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართა 2015-2017 წლებში საზღვარგარეთ სამკურნალოდ დაფინანსებული მოქალაქეების რაოდენობის, მათთვის გადარიცხული თანხების და დაფინანსების მიზნობრიობის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნით . სამინისტრომ IDFI-ის მოთხოვნილი ინფორმაცია სრულად მიაწოდა.

შემდგომში, IDFI-მ სამინისტროს დასახელებული ინფორმაციის 2017 წლის მონაცემების სრულად მისაღებად მიმართა. სამინისტრომ IDFI-ის აღნიშნული ინფორმაცია კვლავ სრულად მიაწოდა.

კვლევის ფარგლებში IDFI-იმ დაამუშავა 2015-2017 წლების სტატისტიკა საზღვარგარეთ სამკურნალოდ დაფინანსებული პაციენტების რაოდენობასა და ბიუჯეტიდან მათზე გამოყოფილი თანხის შესახებ.

2015-2017 წლებში საზღვარგარეთ დაფინანსებული პაციენტების რაოდენობა წლების მიხედვით

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, საზღვარგარეთ დაფინანსებული პაციენტებისათვის თანხა რეფერალური მომსახურების სამედიცინო პროგრამის ფარგლებშია განსაზღვრული. ყოველწლიურად მთავრობა იღებს დადგენილებას კონკრეტული წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებაც, რომელიც მოიცავს დეტალებს რეფერალური მომსახურების სამედიცინო პროგრამასთან დაკავშირებით. დადგენილებების თანახმად, რეფერალური მომსახურების პროგრამის მიზანია მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით. ამავე დადგენილების თანახმად, პროგრამის განმახორციელებელია სოციალური მომსახურების სააგენტო.

მიღებული მონაცემების მიხედვით, 2015-2017 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან საზღვარგარეთ სამკურნალოდ ჯამში 1,191 პაციენტი დაფინანსდა. აღსანიშნავია, რომ დაფინანსებული პაციენტების რაოდენობა 2015 წლის შემდეგ გაიზარდა. ყველაზე მეტი პაციენტი 2016 წელს დაფინანსდა - 478. 2016 წლის შემდეგ, 2017 წელს აღნიშნული მონაცემი მცირედით შემცირდა. კერძოდ, 2017 წელს ჯამში საზღვარგარეთ სამკურნალოდ 408 პაციენტი დაფინანსდა. რაც შეეხება, 2015 წელს, ამ წლის მონაცემი 100-ზე მეტი პაციენტით ნაკლებია 2016 და 2017 წლების მონაცემებზე (იხ. სურათი #1).



დაფინანსებული პაციენტების რაოდენობის მსგავსად, მათზე გამოყოფილი თანხაც, ყველაზე მაღალი 2016 წელს იყო - 6,245,362.79 ლარი. თუმცა, პაციენტების რაოდენობისგან განსხვავებით, თანხა ყველაზე მცირე 2017 წელს იყო - 3,571,635 ლარი. საერთო ჯამში, ბოლო სამ წელში საზღვარგარეთ მკურნალობაზე სულ 14,394,792.83 ლარი დაიხარჯა.



2015-2017 წლებში საზღვარგარეთ სამკურნალოდ დაფინანსებული პაციენტების რაოდენობა და მათ მკურნალობაზე გამოყოფილი თანხა დაავადებების მიხედვით

მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ პაციენტების უმეტესობას საზღვარგარეთ მკურნალობა ონკოლოგიის დაავადების გამო უფინანსდებოდათ. კერძოდ, ჯამში 2015-2017 წლებში საზღვარგარეთ დაფინანსებული პაციენტების 35% სწორედ ამ დაავადებას მკურნალობდა. პაციენტების რაოდენობის მხრივ, შემდეგ მოდის ონკოჰემატოლოგია (166) და ნევროლოგია (148).

ანალოგიურად, 2015-2017 წლებში ყველაზე მეტი თანხა ონკოლოგიის დაავადების სამკურნალოდ გამოიყო - მთლიანი თანხის 33.7%. ონკოჰემატოლოგიასა და ნევროლოგიაზე კი 2,2 და 1,6 მილიონი, შესაბამისად, დაიხარჯა.

2015-2017 წლებში საზღვარგარეთ დაფინანსებული პაციენტების საშუალო დაფინასება შეადგენს 12 086 ლარს. საშუალოდ ყველაზე დიდი თანხით (18 867,5 ლარი) ფინანსდებოდა ღვიძლის და თირკმლის პათოლოგიით (ტრანსპლანტაცია) დაავადებულთა მკურნალობა, ხოლო ყველაზე მცირე თანხით (7 273,1 ლარი) ოფთალმოლოგიის მკურნალობა.


სურათი #3- 2015-2017 წლებში საზღვარგარეთ სამკურნალოდ დაფინანსებული პაციენტების რაოდენობა დაავადებების მიხედვით
384
166
148
51
38
89
98
38
32
23
13
100
ონკოლოგია
ონკოჰემატოლოგია
ნევროლოგია
რეანიმატოლოგია
ყვიმლის და თირკმლის პათოლოგია (ტრანსპლანტაცია)
ქირურგია
ტრავმატოლოგია-ორთოპედია
კარდიოქირურგია
ოფთალმოლოგია
უროლოგია
ენგიოლოგია
სხვადასხვა


სურათი #4 - 2015-2017 წლებში საზღვარგარეთ სამკურნალოდ დაფინანსებულ პაციენტებზე გამოყოფილი თანხა (ლარებში) დაავადებების მიხედვით
4851394
2189238.2
1643705.7
453404
716963.11
1184966.5
1088811.4
529877.8
232739
310870
143458
1049365.1
ონკოლოგია
ონკოჰემატოლოგია
ნევროლოგია
რეაბილიტაცია
ღვიძლის და თირკმლის პათოლოგია (ტრანსპლანტაცია)
ქირურგია
ტრავმატოლოგია-ორთოპედია
კარდიოქირურგია
ოფთალმოლოგია
უროლოგია
პნევმოლოგია
სხვადასხვა


სურათი #5 - 2015-2017 წლებში საზღვარგარეთ სამკურნალოდ დაფინანსებულ ერთ პაციენტზე საშუალო გამოყოფილი თანხა (ლარებში) დაავადებების მიხედვით
12633.8
13188.2
11106.1
8890.3
18867.5
13314.2
11110.3
13944.2
7273.1
13516.1
11035.2
10493.7
ონკოლოგია
ონკოჰემატოლოგია
ნევროლოგია
რეაბილიტაცია
ღვიძლის და თირკმლის პათოლოგია (ტრანსპლანტაცია)
ქირურგია
ტრავმატოლოგია-ორთოპედია
კარდიოქირურგია
ოფთალმოლოგია
უროლოგია
ენდოკრინოლოგია
სხვადასხვა